ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების გაერთიანებული

სხდომა №33

21 სექტემბერი 2018 წ

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

ეკონომიკური განვითარების სამსახური- ანდრია ბასილაია

ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი- ირაკლი დარახველიძე.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური- წარმომადგენელი ირინა ხაჩიძე

თბილისის განვითარების ფონდი-კახა აღამანაშვილი

რაიონის გამგებლები და მათი მოადგილეები

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა.

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე,რამინა ბერაძე,ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-0118262413 „თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ-ინფორმაცია

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-0118262413 „თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ლევან მიქავამ. მან აღნიშნა, რომ გლდანისა და მთაწმინდის რაიონული გამგეობების მოთხოვნით, ხდება თანხების მუხლობრივი გადანაწილება მესამე კვარტალში. კერძოდ: გლდანის გამგეობა აღნიშნავს, რომ „ გზების მოვლა-შეკეთების"(01 01 08) ქვეპროგრამით გათვალისწინებული საუშაოების შესრულების პროცესში საჭირო გახდა მუხლობრივი კორექტირება, დროზე ადრე დასრულდა რამდენიმე ქუჩაზე გარკვეული სამუშაოები. გამომდინარე აქედან 60 000 ლარით უნდა გაიზარდოს „საქონელი და მომსახურების" მუხლი, არაფინანსური აქტივების შემცირების ხარჯზე. გარდა ამისა „კეთილმოწყობის ღონისძიებების" ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების, დაგეგმილთან შედარებით ადრე დასრულების გამო, საჭიროა „არაფინანსური აქტივების" მუხლის 113 900 ლარით და „საქონელი და მომსახურების მუხლის" 16 000 ლარით გაზრდა. წარმოდგენილია ასევე მთაწმინდის რაიონის გამგეობის მუხლობრივი ცვლილებები „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში - „საქონელი და მომსახურების მუხლი" იზრდება 221 000 ლარით, ხოლო კრწანისის რაიონის გამგეობა ითხოვს რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში „არაფინანსურო აქტივების" გაზრდას მესამე კვარტალში 37 000 ლარით.

სხდომის თვმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის,განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით მათზე მიკუთვნებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების გადაწყვეტილებით:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად.**

დანართი : (ერთი) ფურცელი

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 477 713,4 ათასი ლარით , რაც გეგმის 108,2% -ს შეადგენს.მ.შ. გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 189179,1 ათასი ლარი, გეგმის 113,1%. გადასახადებიდან: საშემოსავლო გადასახადი 43 508,9 ათასი ლარი, ქონების გადასახადის სახით ბიუჯეტში 6 თვეში შემოსულია 145 670,4 ათასი ლარი (გეგმის 121,7%). გრანტის სახით ბიუჯეტმა მიიღო 191 558,5 ათასი ლარი (გეგმის 100%). სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 96 921,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 117,8%-ია

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით ისაუბრა ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის შესრულებასთან დაკავშირებით.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა- გეგმა 36863,5 ლარის შესრულებულია 32 225,9 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- გეგმა 74 996,4 ათასი ლარი შესრულებულია 71 324,5 ათასი ლარით.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - გეგმა 45 842,1 ათასი ლარი, შესრულებულია 71 324,5 ათასი ლარით.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა- გეგმა 45842,1 ათასი ლარი, შესრულებულია 30 184,0 ათასი ლარით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა- გეგმა 3054,2 ათასი ლარი, შესრულებულია 2 888,4 ათასი ლარით.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- გეგმა 107 371,0 ათასი ლარი, შესრულებულია 99 231,2 ათასი ლარით.

განათლება- გეგმა 75 445,4 ათასი ლარი, შესრულებულია 69 074,9 ათასი ლარით.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა- გეგმა 13 536,2 ათასი ლარი, შესრულებულია 11 046,6 ათასი ლარით.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - გეგმა 1 8191 ათასი ლარი, შესრულებულია 1 431,9 ათასი ლარით.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები- გეგმა 37 611,2 ათასი ლარი, შესრულებულია 31 886,7 ათასი ლარით.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების ძირითადი შეკითხვები ეხებოდა ქალაქში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოებს და გამგეობების მიერ განსახორციელებელ პროგრამებს . მათ შეკითხვებზე განმარტეს შესაბამისი სამსახურების და გამგეობების მოწვეულმა წარმომადგენლებმა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ ინფრმაცია მიღებულია ცნობად.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა